

# სოციალური აქტივიზმი სოციალურ მუშაობაში საქართველოს მაგალითზე

ანა ხარჩილავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ხარჩილავა

28.01.2020

## აბსტრაქტი

ცვლილების ინიცირებისთვის ადამიანთა ჯგუფები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივიზმს, რათა ერთობლივი ძალისხმევით შესძლონ სასურველი შედეგის მიღწევა. წინამდებარე კვლევის მიზანია სოციალური აქტივიზმის შესწავლა ქართულ რეალობაში სოციალური მუშაკების მაგალითზე. კვლევის ინტერესის სფეროს წარმოადგენს კონკრეტულად აქტივიზმის პროცესში ჩართული სოციალური მუშაკები, მათი როლი აქტივიზმის პროცესში, აქტივიზმის დროს გამოვლენილი სირთულეები, ასევე განხორციელებული სოციალური აქტივიზმის შესწავლა სფეროს ექსპერტების მიერ, მათი ჩართულობის დონე და საბოლოოდ ამ ეტაპისთვის მიღწეული შედეგების გაანალიზება.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა სამაგიდე კვლევა, რა დროსაც გაანალიზებულ იქნა სოციალურ ქსელში საინიციატივო ჯგუფის მიერ ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სოციალურ აქტივიზმში ჩართული აქტორების მხრიდან. ასევე, კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კონკრეტულ კვლევის ტექნიკად კი შერჩეულ იქნა სიღრმისეული ინტრვიუ, რომელიც ჩართა ორ სამიზე ჯგუფს, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრებს და სფეროს ექსპერტებთან. სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებამდე შემუშავდა სადისკუსიო გეგმა ორივე სამიზნე ჯგუფისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური მუშაობა, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები, სოციალური აქტივიზმი, სფეროს ექსპერტები, ცვლილება, სირთულეები, მიღწეული შედეგები.

## ABSTRACT

To make changes the group of people often addressing different kind of social activism, they want to make possible to achieve together to desired results. The aim of the research is to study the social activism in Georgian reality according the example of social workers. The interest of the research are social workers who are involved in the process of activism, their role during the activism process, difficulties demonstrated in activism process, also realized social activism studied by the experts of the sphere, the level of their engagement and finally the results achieved for this moment.

As a research method is used desk research. During the research is analyzed officially posted information on official social network by the initiative groups from the actors involved in social activism. Also, qualitative research methods are used in the study, as a specific research technique is chosen in-depth interview, which was conducted with two target groups, with practitioner social workers, who are the members of initiative group and with the sphere experts.

Before the in-depth interview it was developed discussion plan for the both target group.

**Key words:** social work, practitioner social workers, social activism, sphere experts, changes, difficulties, achieved results.